



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 64
07/06/2017

64-03-4-201706071359



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ენვერ ჯაფარიძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის
მოვალეობების დაკისრების თაობაზე

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 57-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის
შესაბამისად*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. 2017 წლის 8 ივნისიდან - 7 ივლისის ჩათვლით 30 (ოცდაათი)
კალენდარული დღის ვადით, ენვერ ჯაფარიძეს, ნაკისრი ვალდებულებებისგან
განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობების შესრულება.

მუხლი 2. ამ ბრძანების შესაბამისად, ენვერ ჯაფარიძეს მიეცეს დანამატი ქალაქ
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობრივი
სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა